

„დამტკიცებულია“
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის,
სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ
2018 წლის 28 დეკემბრის № 01-03/25 ბრძანებით

**ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და
სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესი**

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება „უნივერსიტეტი“-ის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განხორციელების ეფექტურობის, ეფექტიანობისა და ხარისხის, ზეგავლენის მასშტაბისა და რელევანტურობის განსაზღვრის სისტემური და დისციპლინირებული პროცესია. ის უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას „უნივერსიტეტი“-ის საქმიანობის შესახებ. მონიტორინგისა და შეფასების ობიექტური და მონაწილებითი სისტემა „უნივერსიტეტი“-ის ხელმძღვანელობის საქმიანობისადმი საზოგადოებრივი ნდობის უზრუნველყოფის საშუალებაა. ის ხელს უწყობს ყველა დაინტერესებული პირის სათანადო მოტივაციასა და ყურადღების კონცენტრირებას იმ მიზნების განხორციელებაზე, რომლებიც მნიშვნელოვანია „უნივერსიტეტი“-ის საქმიანობის გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

ინფორმაცია „უნივერსიტეტი“-ის საქმიანობის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს ორი ძირითადი წყაროდან - მონიტორინგიდან და შეფასებიდან. ორივე მათგანი ეფექტური მართვის განუყოფელი ელემენტია: თითოეული ინდივიდუალური ხასიათისაა, თუმცა, ამავე დროს, ერთმანეთს ავსებს. მონიტორინგი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული ამოცანების მიმართ პროგრესის შემოწმების პროცესი. შეფასება კი

წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის შესრულების პროცესისა მაქსიმალურად სისტემურ და ობიექტურ შეფასებას.

„უნივერსიტეტი“, ხარისხის მართვის სამსახურის უშუალო მონაწილეობით შეიმუშავებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მექანიზმებს და ახდენს მათ სინქრონიზაციას დაწესებულების შიდა რეგულაციებთან და პროცედურებთან. მონიტორინგის მექანიზმები მორგებული უნდა იყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობების სპეციფიკაზე და აუცილებლად უნდა მოიცავდეს მონიტორინგის პერიოდულობას, მონიტორინგის მეთოდებს, ინფორმაციის მოთხოვნისა და მიწოდების პროცესში მხარეთა ვალდებულებებსა და მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების შესაძლო ფორმებს.

მონიტორინგის და შეფასების პროცესი პირობითად ერთმანეთთან დაკავშირებულ სამ ეტაპად შეგვიძლია განვიხილოთ, კერძოდ:

1. მონაცემთა შეგროვება - მონაცემთა შეგროვების სტადიაზე შემფასებელი (მონიტორინგის განმახორციელებელი პირი/პირები) აგროვებს/ენ იმ დოკუმენტებს/ინფორმაციას, რომელიც მითითებულია გეგმაში კონკრეტული ამოცანის/აქტივობის შესრულების ინდიკატორის ველში.

2. შეგროვებული მონაცემების ანალიზი - ამ ეტაპზე ხდება პირველ ეტაპზე შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი შესრულების ინდიკატორთან მიმართებაში.

3. მიღებულ შედეგებზე რეაგირების მოხდენა - რადგან ჩვენი მიზანი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმაში დასახული მიზნების მიღწევას, პრობლემების გამოვლენისას აუცილებელი ხდება გეგმის, ამოცანების, აქტივობების შესრულების ვადების, რესურსების ან პასუხისმგებელი პირის ველში ცვლილებების შეტანა. კონკრეტულად რომელ ველში იქნება საჭირო ცვლილება, ჩამოთვლილთაგან, დამოკიდებულია პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე.

მონიტორინგის ჯგუფის ფორმირება: „უნივერსიტეტი“-ის რექტორი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიზნით,

ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით განსაზღვრავს მონიტორინგის ჯგუფს, რომელიც შესაძლებელია დაკომპლექტებული იყოს „უნივერსიტეტი“-ის აკადემიური პერსონალისაგან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლისაგან, სტუდენტებისაგან და გარე მოწვეული პირებისაგან (რომელიც შეიძლება იყოს სხვა უნივერსიტეტის პროფესიული ასოციაციისა და სხვა ორგანიზაციის წევრი). მონიტორინგის ჯგუფს ხელმძღვანელობს „უნივერსიტეტი“-ის რექტორი, ან მისი წარმომადგენელი.

ანგარიშის წარდგენა: მონიტორინგის ჯგუფი წელიწადში ორჯერ აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ანგარიშს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ, ძირითადი ინდიკატორების მიხედვით. მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშში უნდა აისახოს ცალკეული საკითხის ანალიზი და რეკომენდაციები. აკადემიური საბჭო საჭიროების შემთხვევაში ახდენს შესაბამის რეაგირებას;

ცვლილებების განხორციელება: სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია მონიტორინგის ჯგუფის არგუმენტაციებზე დაყრდნობით, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.